თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4200242

ნომერი: AR1634390

თარიღი : 02.10.2018

გაცემის თარიღი : 03.10.2018

გაცნობის თარიღი : 03.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ზარზმა , N 35 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზარზმა , N 35 , მიმდებარედ , ნაკვეთი 28/018 ; ქალაქი თბილისი , კონიაკის დასახლება ზარზმისა და ილორის ქუჩებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 სექტემბრის № 3497642 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 02 ოქტომბერს №AR1634390 განცხადებით მომართეს რევაზ ებრალიძემ და გივი კაპანაძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 04 სექტემბრის №3497642 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 მარტის №3133010 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ზარზმის ქუჩა N 35, მიმდებარედ, ნაკვეთი 28/018; ქალაქი თბილისში, ქუჩა ზარზმა N35, N01.11.05.028.018 და 01.11.05.028.001 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2017 წლის 04 სექტემბრის №3497642 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 მარტის №3133010 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.11.05.028.040, რეგისტრაციის ნომერი: 882017765250 , რეგისტრაციის თარიღი: 24/08/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ასევე საკადასტრო კოდად დაფიქსირდა: 01.11.05.028.040, ხოლო, ფართობი - 1577 კვ.მ.
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 04 სექტემბრის №3497642 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად, საპროექტო მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი სივრცე ესაზღვრება სამი მხრიდან. შესაბამისად, უკანა ეზოს დადგენის საჭიროება არ არსებობდა და სამსახურის 2017 წლის 04 სექტემბრის №3497642 ბრძანებით ასევე უნდა მომხდარიყო უკანა ეზოს დადგენის შესახებ ჩანაწერის ამოღება სამსახურის 2017 წლის 10 მარტის №3133010 ბრძანებიდან.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად, შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის როგორც ფართობი ასევე კონფიგურაცია, რომლის აღმოსავლეთით არსებული დაურეგისტრირებელი ნაწილი წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს. შესაბამისად საჭირო იყო სამსახურის 2017 წლის 10 მარტის №3133010 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან უკანა ეზოს ჩანაწერის ამოღება და საზოგადოებრივი საზღვრის, როგორც სამხრეთ-დასავლეთით დაურეგისტრირებელი სივრცის მხრიდან და ჩრდილო-დასავლეთით გზის მხრიდან, ასევე აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელი სივრცის მხრიდან დაფიქსირება.
აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 სექტემბრის № 3497642 ბრძანებაში და სარეზოლუციო ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „სამსახურის 2017 წლის 10 მარტის №3133010 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებულ იქნას ჩანაწერი უკანა ეზოს დადგენის შესახებ“ და „საზოგადოებრივი საზღვარი განისაზღვროს სამხრეთ-დასავლეთით დაურეგისტრირებელი სივრცის მხრიდან, ჩრდილო-დასავლეთით გზის მხრიდან და აღმოსავლეთით არსებული დაურეგისტრირებელი სივრცის მხრიდან“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 სექტემბრის №3497642 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 მარტის №3133010 და 2017 წლის 04 სექტემბრის №3497642 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge